სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/159

ქ. თბილისი 24 08 2018 წ.

სტუ-ის N 01-09-10/151 (02.08.18) ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს 2018 წლის 2 აგვისტოს N 01-09-10/151 ბრძანება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 - 2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული

დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის 20 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00}-და 16^{00} საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსი);

2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა – დანართი 2; დოქტორანტურა – დანართი 3) არა უგვიანეს 2018 წლის 4 ოქტომბრისა;

5. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2018 წლის 5 ოქტომბერს;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი